

ს/ს სამკერვალო კომპანია "იმერი"

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ს/ს სამკ. კომპანია "იმერი"

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
/ლარში/

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება --3

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება-----4

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება-----5

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება-----6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები-----7-14

ს/ს სამკერვალო კომპანია "იმერი"

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის დეკემბრის დასრულებული წლისთვის

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	3363550	3371718
თვითღირებულება	(298548)	(338190)
საერთო მოგება	3065002	3033528
ადმინისტრაციული ხარჯები	(2659809)	(2530207)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(417372)	(357980)
საოპერაციო მოგება	(12179)	145341
საპროცენტო ხარჯები	(33173)	(42458)
სხვა შემოსავლები	198880	313634
მოგებამდე დაბეგვრა	153528	416517
მოგების გადასახადის ხარჯი		(62453)
ფინანსური შედეგი	153528	354064

7-14 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ს/ს სამკერვალო კომპანია "იმერი"
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021წლის 31დეკემბრის დასრულებული წლისთვის
/ლარში/

	განმარტებითი შენიშვნა	31 დეკემბერი 2021წელი	31 დეკემბერი 2020 წელი
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და აფულის ექვივალენტი		124726	127647
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		109284	153992
გადახდილი ავანსები			
მარაგები		181567	345154
ძირითადი საშუალებები		3091770	3085578
სულ აქტივები		3507347	3712371
ვალდებულებები და კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები			
ვალდებულებები თანამშრომების წინაშე		313548	362245
გრძელვადიანი ნასესხები ვალდებულებები		219214	329817
საგადასახადო ვალდებულებები		47269	28633
სხვა ვალდებულებები		55256	32332
სულ ვალდებულებები		635287	753027
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		1804005	1804005
საწესდებო კაპიტალი		820899	820899
გაუნაწილებელი მოგება		247156	334440
სულ კაპიტალი		2872060	2959344
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		3507347	3712371

7-14 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ს/ს სამკერვალო კომპანია "იმერი"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

/ლარში/

	საწესდებოკაპიტალი	საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტ ები	გაუნაწილე ბელი მოგება	სულ კაპიტალი
01 იანვარი 2021 წელი	820899	1804005	334440	2959344
კაპიტალის ზრდა				
წლის ფინანსური შედეგი			-87284	-87284
31 დეკემბერი 2021 წელი	820899	1804005	247156	2872060

7-14 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

ს/ სსამკერვალო კომპანია "იმერი"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებულ იწლისთვის

/ლარში/

ფულადი ნაკადი საოპერაციო შემოსავლიდან:	
მომხმარებლისაგან მიღებული ფულადი სახსრები	3509799
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	-3357137
სხვა გაცემული ფულადი სახსრები	
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
წმინდა ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:	
ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის ზრდიდან	
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	932000
სესხის ძირის გადახდა	-1054410
სესხის პროცენტის დაფარვა	- 33173
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვანგასვლა წლის განმავლობაში	
კურსთაშორისი სხვაობა	
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	127647
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	124726

ს/ს სამკერვალოკომპანია " იმერი"

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი ბარათი

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

ქუთაისის სამკერვალო კომპანია " იმერი" რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში , სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 26.08.1996 წ.რეგისტრ.ნომერი 12/5 -16 კომპანიის იურიდიული მისამართია : ქ. ქუთაისი ლადო ასათიანისქ. N119

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სამკერვალო ნაწარმის წარმოება.

კომპანიას ჰყავს 936 აქციონერი, საიდანაც 87,87 % –ს ფლობს 10 აქციონერი.

1. სიმონიძე მაია—14.86%
2. გვენეტაძე ზაზა—10.56%
3. ხაჩიძე ლიანა—10.36%
4. ჩიხლაძე გიორგი—10.34%
5. აბულაძე ნანა,ნიკიფი მამუკა, ნიკიფი ზვიადი(თანამესაკუთრეები) –10.34%
6. ლომიძე უშანგი–10.31
7. ელბაქიძე ლელა–6.07%
8. სანოძე ცისანა–5.03%
9. კახიანი ინგა–5%
- 10.კახიანი ხათუნა –5%

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ: აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

2.1 მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსსფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისთვის და მოვლენებისთვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევას და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2019 წლის 1 იანვარი. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული სარეკომენდაციო მითითების მიხედვით, მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისთვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით და კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის. 2021 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, შესაბამის განმარტებით შენიშვნებს და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

2.2 შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ კომპანია ეკონომიურ სარგებელს მიიღებს და შემოსავლის გაზომვა საიმედო და შესაძლებელი, მიუხედავად მისა, თუ როდის განხორციელდება თანხის მიღება. ამონაგების შეფასება უნდა მოხდეს მიღებული ან მისაღები ანაზრაურების რეალური ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და გადასახადების გათვალისწინებით. კომპანია საქმიანობს როგორც მარწმუნებელი, რადგან იგი ჩვეულებრივ აკონტროლებს საქონელს ან მომსახურებას მომხმარებლისთვის გადაცემამდე. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკან დაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ნარიცხებით.

2.2.1 პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა: – კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს დასარგებელს; – კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს; – შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედო განსაზღვრა; – მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმოო მიიღებს ეკონომიური სარგებელს; და – შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

2.1.2 მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები: – ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ; – მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიური სარგებლის შესვლა კომპანიაში; – შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედო დადგენა, საანგარიშო პერიოდის ბოლოს; – შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისთვის საჭირო დანახარჯები სსაიმედოდ შეფასება.

2.3 სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან ამონაგების და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარდება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

2.4 ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში თუ ხარჯებისგან ეკონომიური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

2.5 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. კომპანია ვალდებულება საღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია სააანგარიშო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარდება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

2.6 გადასახადები

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორის კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1-ლი იანვრიდან. ახალი, ე.წ. „ესტონური“ მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1-ლი იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

2.7 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წარმოადგენს აქტივთა ჯგუფს, რომლის კონვერტირებაც შესაძლებელია წინასწარ განსაზღვრული ღირებულებით და უმნიშვნელო რისკის მატარებელია ღირებულების ცვლილებების თვალსაზრისით. კომპანიის ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, შეზღუდულ და შეუზღუდავ ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე

2.8 მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წარმოიქმნება მომხმარებლისთვის პროდუქციის მიწოდებისა ან მომსახურების გაწევისას. კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო მოთხოვნა საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით.

2.9 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა. ძირითადი საშუალების ისტორიული ღირებულება მოიცავს;

ა) მისი შესყიდვის ფასს, საიმპორტო ბაჟისა და დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი ფასდათმობისა და შეღავათის გარეშე.

ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისთვის აქტივის გამოსაყენებლად; გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შემენის მომენტში ან შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო იყენებს

აქტივს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების წარმოებისაგან განსხვავებული საქმიანობისთვის. ძირითადი საშუალებების შემენის შემდგომი დანახარჯები უნდა დაემატოს ამ აქტივის ღირებულებას, ან აღიარდეს ცალკე აქტივად თუ:

მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს, და საწარმოსთვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სასრგებლო მომსახურების ვადა

შენობა ნაგებობანი --- 100-150 წელი

მანქანა დანადგარები --- 15-20 წელი

ავეჯი და სხვა ინვენტარი --- 3-10 წელი

ოფისის აღჭურვილობა --- 2-10 წელი

ძირითადი საშუალებების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

2.10 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების განსაზღვრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად. კომპანიის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 10 წელი.

2.11 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტოსარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების შეძენის ხარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და სართოდ, იმ ხარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალების და მოსახურების შეძენასთან.

2.12 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამაქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისთვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც

ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი. თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში. თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

2.13 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა მოხდეს განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება ზარალში. თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში. საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: ა) ფინანსური აქტივიდან

მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის,ან ფულადისახსრები მთლიანად უკვე მიღებულია; ბ)საწარმო

ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

გ) საწარმო, მიუხედავად იმისა,რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლს. ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა , სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით. საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით,გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. სასესხო ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში,რომდესაც იგი გაწეული იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი. საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს , როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებები განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ღირექტორი

/გ. ჩიხლაძე/